მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №5

ქ. მარტვილი 16 მარტი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე დამთავრდა 18:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, პაატა პირტახია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, დათო ხელაია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 26–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი რობერტ კოტია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის განკარგულება №22 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. ,,მარტვილის მუნიუციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 1537კვ.მ. და მასზე განთავსებული №1, №2, №3 ნაგებობები ს.კ. 41.08.36.487) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
4. ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.230 ფართობი 992 კვ.მ) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
6. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
7. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
8. სხვადასხვა.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიუციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარე სამუშაოების დასაფინანსებლად მარტვილის მუნიციპალიტეტს გამოეყო 990000 ლარი, აქედან გამომდინარე შესატანია ცვლილება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ დანელიამ დასვა კითხვა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რა სახის სამუშაოებზე იყო გათვალისწინებული აღნიშნული თანხა, რაზეც ბონდო თოფურიამ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ასახვა ხდება აღნიშნული თანხის მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და ამ კუთხით რა სახის სამუშაოები განხორციელდება ეს უკვე შემდგომ ეტაპზე იქნება შეთანხმებული, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასევე საკრებულოსთან.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „„„მარტვილის მუნიუციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„„„მარტვილის მუნიუციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის დადგენილება №4 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 1537კვ.მ. და მასზე განთავსებული №1, №2, №3 ნაგებობები ს.კ. 41.08.36.487) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნწში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ახლად აშენებული ბაღის) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემას.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ჯამბულ ხუროძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ბაღის მშენებლობა დასრულებულია და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და მერის მიმართ კმაყოფილება გამოთქვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღის აშენებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 1537კვ.მ. და მასზე განთავსებული №1, №2, №3 ნაგებობები ს.კ. 41.08.36.487) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 1537კვ.მ. და მასზე განთავსებული №1, №2, №3 ნაგებობები ს.კ. 41.08.36.487) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის განკარგულება №23 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, ,,ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.230 ფართობი 992 კვ.მ) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შიდა ეზოს ტერიტორიას, რომელიც მარტვილის მუნიციპალიტეტის სახელზეა რეგისტრირებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.230 ფართობი 992 კვ.მ) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.230 ფართობი 992 კვ.მ) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის განკარგულება №24 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დაგზავნილი იყო საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში განსახილველად და შენიშვნებისა და კითხვების გაჩენის შემთხვევაში ის მზად არის უპასუხოს მისი კომპეტენციის ფარგლებში და საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის განკარგულება №25 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 6: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ მოხდა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის მოსმენა და თუ საკრებულოს წევრებს გააჩნდათ დამატებითი კითხვები შეეძლოთ კითხვით მიემართათ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებისთვის.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ აღნიშნა, რომ ის გაეცნო და მოისმინა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიში და განაცხადა, რომ ის არ არის კმაყოფილი მათი მუშაობით, კერძოდ: შესაბამისი სამსახურების მიერ არ ხორციელდება მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობების დროულად აღკვეთა და ამ კუთხით ხდება შერჩევითი მიდგომა, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იჯარით გაცემული საიჯარო ქირის დიდი ნაწილი არ არის გადახდილი, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციის შენობაში ოთახები დაკავებული აქვთ ისეთ პიროვნებებს რომლებზეც არანაირი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული და აღნიშნა, რომ ის ითხივს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებს (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსებს) მიეცეთ 3 თვიანი დრო მათზე დაქვემდებარებული სამსახურების უფრო ეფექტიანად მუშაობის წარმართვაში, მიუხედავად მის მიერ გამოხატული უკმაყოფილებისა, 2021 წელს მთელი რიგი უარყოფითი გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშს მაინც აფასებს დამაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, კერძოდ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროცების) ანგარიშის 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის განკარგულება №26 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-7 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

მოისმინეს 7: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოხსენება, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ აღნიშნული საკითხი დაგზავნილ იყო საკრებულოს შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში განსახილველად და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე გრიგალავამ აღნიშნა რომ აღნიშნული ანგარიში მოიცავს მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, იქვე აღნიშნა რომ აუდიტის ანგარიშში ასახული შენიშვნები გასათვალისწინებელია რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: გათვალისჭინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ,,მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის'' 2021 წლის 22 ნოემბრის 45/36 ანგარიშში მოყვანილი ფაქტები და აუდიტის სამსახურის მიერ გამოთქმული შენიშვნები მუნიციპალიტეტში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებისას და შემდგომ მათ საქმიანობაში.

/,,მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 იანვრის განკარგულება №27 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 8: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას განცხადებით მიმართა საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' თავმჯდომარემ ვლადიმერ დანელიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, ,,ევროპული საქართველოს'' წევრის დათო ხელაიას ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' გაწევრიანების შესახებ. შესაბამისად კომისიამ იმსჯელა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე და დაასკვნა, რომ წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები შეესაბამება საქართველოს ორგანული კნონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 30–ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის დადებითი დასკვნიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული, 2022 წლის 16 მარტიდან, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, პარტიის ,,ევროპული საქართველო'' წევრის დათო ხელაიას გაწევრიანებასთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა